ხელშეკრულება N№/013–0229/18
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ზუგდიდი 18 იანვარი 2018 წელი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1. ერთი მხრივ, სსიპ – „სოციალური მომსახურების სააგენტო“ (შემდგომში – „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მისი სამეგრელო–ზემო სვანეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის უფროსის მოადგილის რუსუდან მაქაცარიას სახით, რომელიც მოქმედებს სსიპ – „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ დირექტორის 2015 წლის 4 თებერვლის 04-36/ო ბრძანებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში და მეორე მხრივ, მეწარმე ფიზიკური პირი, ექთანი თეა ანთია (შემდგომში – „მიმწოდებელი“) სახით, ვხელმძღვანელობთ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის: „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით, „2018 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 28 დეკემბრის N592 დადგენილებითა და „სოფლის ექიმის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში შესაბამისი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მიხედვით საექიმო და საექთნო პუნქტების რაოდენობისა და „ექიმის ჩანთის“ განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2013 წლის 23 დეკემბრის N01-264/ო (ასევე, მასში შეტანილი ცვლილებებით) ბრძანების გათვალისწინებით, ვდებთ წინამდებარე გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (CPV კოდი 85100000) შემდეგზე.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს „2018 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 28 დეკემბრის N592 დადგენილებით (შემდგომში – „დადგენილება“) დამტკიცებული „სოფლის ექიმის“ (დანართი N19) სახელმწიფო პროგრამის (შემდგომში - „პროგრამა“) მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის ფარგლებში ამავე დადგენილებით გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურების განხორციელება სოფლის ექთნის მიერ სენაკის მუნიციპალიტეტის მუნიციპალიტეტის ეკის ტერიტორიული ერთეულის სოფლებში: ეკი,შრომისკარი,საადამო,საგუნიო,საცხვიტაო.

2.2. „მიმწოდებელი“ კისრულობს ვალდებულებას, მომსახურების გაწევისას იხელმძღვანელოს დადგენილებით, მათ შორის, პროგრამით, მასში შეტანილი ცვლილებებით და/ან დამატებებით, ამ ცვლილებებისა და/ან დამატებების ამოქმედების მომენტიდან, აგრეთვე, შემსყიდველის მიერ, პროგრამის ადმინისტრირების მიზნით გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით.

3. მომსახურების გაწევის ვადა და პირობები

3.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება განხორციელდება 2018 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

3.2. მომსახურების გაწევა ხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, მათ შორის, „დადგენილებით“ გათვალისწინებული და/ან „შემსყიდველის“ მიერ განსაზღვრული (ამ უკანასკნელის არსებობის შემთხვევაში) მოთხოვნების შესაბამისად.

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს არა უმეტეს 5 460 (ხუთი ათას ოთხას სამოცი) ლარს.

4.2. „მიმწოდებლის“ მიერ, „დადგენილების“ მიხედვით ერთი კალენდარული თვის განმავლობაში შესრულებული/გაწეული მომსახურების ღირებულება შეადგენს 455 (ოთხას ორმოცდათხუთმეტი) ლარს.

4.3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს/მოსაკრებელს/სახდელს, რომლის გადახდა ეკისრება „მიმწოდებელს“.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მომსახურების მიღება-ჩაბარება წარმოებს მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე, „მიმწოდებელი“ ვალდებულია წარუდგინოს „შემსყიდველს“ შესრულებული სამუშაოს ანგარიში, „შემსყიდველის“ მიერ მიღებული (გამოცემული) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ფორმით.

5.2. მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 10 რიცხვამდე.

5.3. მიღება-ჩაბარების აქტს მხარეების მხრიდან ხელს აწერენ მათი სათანადოდ უფლებამოსილი წარმომადგენლები.

6. ანგარიშსწორება

6.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების დაფინანსება ხორციელდება „შემსყიდველთან“ შესრულებული სამუშაოს ანგარიშის წარმოდგენისა და მიღება-ჩაბარების აქტის სათანადოდ გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

7.1.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება განახორციელოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების სრული დაცვით, წინააღმდეგ შემთხვევაში, სრული პასუხისმგებლობა ეკისრება „მიმწოდებელს“;

7.1.2. ზედმიწევნით და განუხრელად დაიცვას „დადგენილების“, „პროგრამის“ (დანართი 19 და დანართი 19.1) და წინამდებარე ხელშეკრულების პირობები, აგრეთვე „შემსყიდველის“ მიერ დადგენილი (მიღებული) მოთხოვნები (ამ უკანასკნელის არსებობის შემთხვევაში);

7.1.3. სისტემატურად აწარმოოს სამედიცინო დოკუმენტაცია (მათ შორის, სააღრიცხვო და სტატისტიკურ ფორმები) დადგენილი წესის შესაბამისად;

7.1.4. დროულად და ადეკვატურად მოახდინოს სამოქმედო ტერიტორიის მიხედვით, მოსახლეობის ინფორმირება სახელმწიფო პროგრამ(ებ)ით გათვალისწინებული მომსახურების მოცულობის თაობაზე;

7.1.5. დაიცვას პაციენტის ჯანმრთელობასთან და სოციალურ მდგომარეობასთან დაკავშირებული ინტერესები და უფლებები, აგრეთვე, ინფორმაციის კონფიდენციალურობა, წინააღმდეგ შემთხვევაში, სრული პასუხისმგებლობა ეკისრება „მიმწოდებელს“;

7.1.6. იზრუნოს საკუთარ პროფესიულ ზრდასა და განვითარებაზე, მათ შორის, საოჯახო მედიცინაში მზადების პროგრამაში მონაწილეობის გზით;

7.1.7. უზრუნველყოს მომსახურების გაწევა სანიტარიული ნორმებისა და ეპიდრეჟიმის დაცვით;

7.1.8. შესაბამისი საანგარიშგებო დოკუმენტაცია წარადგინოს „შემსყიდველთან“ არა უგვიანეს შესრულებული სამუშაოს თვის მომდევნო თვის 10 რიცხვისა, თუ „პროგრამის“ პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ვადაგადაცილებით (მაგრამ არაუგვიანეს მომსახურების დასრულებიდან 1 (ერთი) საანგარიშგებო თვე) წარდგენილი დოკუმენტაცია განიხილება დადგენილი წესით;

7.1.9. უზრუნველყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გადახდა და არ მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების გარდა, არავითარი გადასახადის ან დამატებითი თანხის გადახდა;

7.1.10. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების განხორციელების მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებლობის შემთხვევაში (მ.შ., საოჯახო მედიცინაში მზადების კურსებში მონაწილეობა), შესაძლებლობის ფარგლებში უზრუნველყოს შემცვლელი პირის მოძიება და სათანადო მომსახურების განხორციელების თაობაზე მისი წერილობითი თანხმობის წარდგენა „შემსყიდველთან“ გონივრულ ვადაში,;

7.1.11. ოპერატიულად მიაწოდოს „შემსყიდველს“ ინფორმაცია, რაც უკავშირდება „მიმწოდებლის“ მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის შეფერხებას და/ან შეწყვეტას;

7.1.12. „შემსყიდველის“ წარმომადგენლის მოთხოვნის შესაბამისად, დადგენილებით განსაზვრულ ვადებში, მიაწოდოს მას ნებისმიერი ინფორმაცია თუ დოკუმენტი, რომელიც უკავშირდება „პროგრამის“ ადმინისტრირებას.

7.1.13. პროგრამით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს ზედამხედველობის შედეგად დაკისრებული საჯარიმო სანქციების შესრულება;

7.1.14. სისტემატურად განიხილოს „შემსყიდველის“ ოფიციალურ ვებ–გვერდზე (www.ssa.gov.ge) ჯანმრთელობის დაცვის შესაბამის სახელმწიფო პროგრამებთან დაკავშირებით გამოქვეყნებული ინფორმაცია.

7.1.15. აწარმოოს ჯანდაცვის ერთიანი ელექტრონული სისტემის იმუნიზაციის ელექტრონულ მოდულში ბენეფიციარებისა და მათთვის ჩატარებული (მ. შ. წინა პერიოდში) გეგმური და არაგეგმური აცრების თაობაზე ინფორმაციის სრულად აღრიცხვა;

7.1.16. ბენეფიციარის მშობლის და/ან კანონიერი წარმომადგენლის მოთხოვნის საფუძველზე, მოთხოვნიდან არა უგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღისა, უსასყიდლოდ გასცეს ჩატარებული აცრების (მიმდინარე და/ან წინა პერიოდი) თაობაზე ცნობა/ამონაწერი პროფილაქტიკური აცრების რუკიდან (ფორმა 063), აგრეთვე, დადგენილების N19.1 დანართით გათვალისწინებული დოკუმენტაცია, შესაბამისი პირობებით.

7.2. „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია:

7.2.1. მიიღოს „შემსყიდველისაგან“ „პროგრამის“ მიხედვით შესრულებული მომსახურების საფასური;

7.2.2. მოითხოვოს „შემსყიდველისაგან“ ხელშეკრულების სხვა პირობების შესრულება.

7.3. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

7.3.1. „დადგენილების“ და ამ ხელშეკრულების ფარგლებში, აუნაზღაუროს „მიმწოდებელს“ გაწეული სამედიცინო მომსახურების საფასური;

7.3.2. გააცნოს „მიმწოდებელს“ ამ მუხლის 7.4.3. პუნქტის შესაბამისად მიღებული (გამოცემული) აქტ(ებ)ი. გაცნობად ჩაითვლება „შემსყიდველის“ ვებ-გვერდზე (www.ssa.gov.ge) აქტის გამოქვეყნება;

7.3.3. დაიცვას ხელშეკრულების სხვა პირობები.

7.4. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია:

7.4.1. მოთხოვოს „მიმწოდებელს“ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულება;

7.4.2. მოითხოვოს „მიმწოდებელს“ დამატებითი ინფორმაცია და დოკუმენტები, რაც უკავშირდება „მიმწოდებლის“ მიერ გაწეულ მომსახურებას და პროგრამის ადმინისტრირებას;

7.4.3. საჭიროების შემთხვევაში, „პროგრამით“ გათვალისწინებული ურთიერთობების დარეგულირების მიზნით, მიიღოს (გამოსცეს) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლის შესრულებაც სავალდებულოა „მიმწოდებლისათვის“ იმ მოცულობით, რაც უკავშირდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევას. ამ პუნქტით გათვალისწინებული აქტის მიღება წარმოადგენს „შემსყიდველის“ უფლებას და არა ვალდებულებას;~

7.4.4. მომსახურების ინსპექტირების, მონიტორინგისა და კონტროლის ეტაპზე გამოვლენილი დარღვევების გამო, უზრუნველყოს მიმწოდებლისათვის პროგრამით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციების დაკისრება.

7.4.5. ისარგებლოს ამ ხელშეკრულების 14.2. პუნქტით, „დადგენილებით“/„პროგრამით“და სხვა აქტებით განსაზღვრული უფლებებით;

7.4.6 შეწყვიტოს მიმწოდებელთან ხელშეკრულება:

7.4.6.1. ამ ხელშეკრულების 7.1.13 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში და მიმართოს სასამართლოს მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად;
7.4.6.2. წინასწარი გაფრთხილების გარეშე, თუ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, მიმწოდებლის მიმართ ორჯერ მაინც უკვე გამოყენებულია ამ ხელშეკრულების მე-9 პუნქტით გათვალისწინებული ჯარიმ(ებ)ი.

8. ხელშეკრულების შეწყვეტა
8.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:
8.1.1. ურთიერთვალდებულებების შესრულებით;
8.1.2. მხარეთა შეთანხმებით;
8.1.3. მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით და პროგრამით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების გამო;
8.1.4. ამ ხელშეკრულების 7.4.6 პუნქტით გათვალისწინებული პირობების არსებობისას;
8.1.5. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და/ან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
8.2. მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, ინიციატორი მხარე მეორე მხარეს უგზავნის წერილობით შეტყობინებას.
8.3. ამ ხელშეკრულების 8.2 პუნქტით გათვალისწინებული წერილობითი შეტყობინება არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან, შეთანხმების მიღწევამდე.
8.4. „შემსყიდველს“ შეუძლია, მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს :
8.4.1. თუ „მიმწოდებელს“ „დადგენილებით“ გათვალისწინებულ ან „შემსყიდველის“ მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია შეასრულოს შესაბამისი მომსახურება ან მისი ნაწილი;
8.4.2. თუ „მიმწოდებელს“ არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება;
8.4.3. თუ მიმწოდებელი არღვევს წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს, არ ასრულებს ან/და არაჯეროვნად/არასრულად ასრულებს ხელშეკრულებით, პროგრამითა და მის შესასრულებლად შემსყიდველის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტ(ებ)ით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.
8.5. „შემსყიდველს“ ცალმხრივად შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:
8.5.1. თუ „შემსყიდველისათვის“ ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო „მიმწოდებელი“ ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
8.5.2. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
8.6. პროგრამის ფარგლებში აღებული პასუხისმგებლობის ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ მიმწოდებელი ვალდებულია, 2 თვით ადრე აცნობოს განმახორციელებელს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მიმწოდებლის სტატუსის შეწყვეტას ადგილი აქვს მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზით, მ.შ. შესაძლებლობის შემთხვევაში, ამ ხელშეკრულების 7.1.10 პუნქტით გათვალისწინებული პირობის დაცვით.
8.7. ხელშეკრულების ან მისი ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. საჯარიმო სანქციები:
9.1. მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების ზედამხედველობის ნებისმიერ ეტაპზე გამოვლენილი დარღვევებისას გამოყენებული იქნება სხვადასხვა ტიპის საჯარიმო სანქციები:
9.1.1. გაწეული მომსახურების ანაზღაურებაზე უარი;
9.1.2.ანაზღაურებული თანხის უკან დაბრუნება;
9.1.3. დამატებითი ფინანსური ჯარიმა.
9.2. გაწეული მომსახურებისათვის ამ ხელშეკრულების 4.2 პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულება არ ანაზღაურდება, თუ საანგარიშგებო დოკუმენტაცია არ არის შევსებული დადგენილი წესის შესაბამისად.
9.3. ამ ხელშეკრულების 4.2 პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულება უკან დაბრუნებას ექვემდებარება:
9.3.1. თუ სრულად არ ჩატარებულა სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება;
9.3.2. გაწეული მომსახურების თაობაზე საანგარიშგებო დოკუმენტაციაში ასახული მონაცემები არ ემთხვევა მიმწოდებელთან დაცულ შესაბამის ინფორმაციას ან/და დოკუმენტაციას;
9.3.3.თუ მონიტორის მიერ 10 კალენდარული დღის განმავლობაში განხორციელებული მე-3 ვიზიტის მიუხედავად, ვერ ხერხდება მიმწოდებელთან შეხვედრა.
9.4. მონიტორინგის, კონტროლის ან რევიზიის დროს გამოვლენილი დარღვევების შემთხვევაში გამოყენებული იქნება როგორც ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული სანქციები, ასევე, დამატებითი ფინანსური ჯარიმები. დამატებითი ფინანსური ჯარიმა შემსრულებელს არ ათავისუფლებს გამოვლენილი ხელშეკრულების პირობების დარღვევით მოთხოვნილი თანხების უკან დაბრუნებისაგან.
9.5. მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურებაზე მონიტორინგის განხორციელება შესაძლებელია შერჩევითი გზით, მიმწოდებელთან განმახორციელებლის უფლებამოსილი პირის ვიზიტით და/ან მიწოდებული ინფორმაციის გადამოწმებით, მიმწოდებლისაგან მომსახურებასთან დაკავშირებული ინფორმაციისა და დოკუმენტაციის მოთხოვნით, საჭიროებისამებრ, პაციენტთან, მისი ოჯახის წევრებთან და შემთხვევასთან დაკავშირებულ სხვა პირებთან გასაუბრებით.
9.6. ამ ხელშეკრულების 8.6 პუნქტით გათვალისწინებული პირობის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელი იხდის ჯარიმის სახით განმახორციელებლის მიერ შესაბამისი წლის განმავლობაში პროგრამულად ანაზღაურებული თანხის 10%-ს.

9.7. ხელშეკრულების მოშლა ან პროგრამაში მონაწილეობაზე უარი მიმწოდებელს არ ათავისუფლებს საჯარიმო სანქციების შესრულებისაგან.
9.8. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელმა პროგრამით გათვალისწინებულ მომსახურებაზე უარი განუცხადა პროგრამის მოსარგებლეს ან მომსახურება გაუწია დაგვიანებით (მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გარდა), ან არასრულად, ან უხარისხოდ, მიმწოდებელი იხდის ჯარიმას 4.2 პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულების სრული ოდენობის სახით.
9.9. სამედიცინო მომსახურების/საქონლის მიწოდებისას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევა (გარდა სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესისა), რომელიც გამოვლინდება ზედამხედველობის დროს, გამოიწვევს მიმწოდებლის დაჯარიმებას 4.2 პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულების 10%-ით.
9.10. იმ შემთხვევაში, თუ ზედამხედველობისას გამოვლინდება, რომ მიმწოდებელმა მოსარგებლეს პროგრამით გათვალისწინებულ და დაფინანსებულ მომსახურებაში თანხა გადაახდევინა, მიმწოდებელი იხდის ჯარიმას 4.2 პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულების სრული ოდენობის სახით.
9.11. შემსყიდველის უფლებამოსილი პირის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის (მ.შ. საჭიროების შემთხვევაში, სამედიცინო და ფინანსური დოკუმენტაციის ასლები) დადგენილებით განსაზღვრული ვადის დარღვევით მიწოდების შემთხვევაში,მიმწოდებელი იხდის ჯარიმას ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 50 ლარის ოდენობით.
9.12. შემსყიდველის უფლებამოსილი პირის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის (მ.შ. საჭიროების შემთხვევაში, სამედიცინო და ფინანსური დოკუმენტაციის ასლები) მისაწოდებლად დადგენილებით განსაზღვრული ვადის 5 ან მეტი დღით გადაცილება განიხილება ინფორმაციის მიუწოდებლობად და 4.2 პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულების სრულად უკან დაბრუნების საფუძვლად.
9.13. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულის გარდა, მიმწოდებლის პასუხისმგებლობა შესაძლოა განისაზღვროს დადგენილებით.

10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა
10.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.
10.2. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.
10.4. წინამდებარე ხელშეკრულების ყველა ცვლილება და დამატება ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი შეტანილია წერილობითი სახით და ხელმოწერილია ორივე მხარის სრულუფლებიანი წარმომადგენლის მიერ.

11. სადავო საკითხების გადაწყვეტა
11.1. „შემსყიდველმა“ და „მიმწოდებელმა“ ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ;
11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში „შემსყიდველი“ და „მიმწოდებელი“ ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს, დავის გადაწყვეტის მიზნით, შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ფორს-მაჟორი
12.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.
12.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული „შემსყიდველისა“ და/ან „მიმწოდებლის“ შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
12.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს–მაჟორული გარემოების ზეგავლენისაგან.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა
13.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

14. სხვა პირობები
14.1. მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით.

14.2. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით, მიმწოდებელი გამოხატავს წერილობით თანხმობას იმის თაობაზე, რომ შემსყიდველმა, ნებისმიერი წყაროდან, სხვა დამატებითი თანხმობის გამოხატვის გარეშე და ხელშეკრულების ამ დებულების უპირატესი გათვალისწინებით, მოიპოვოს ისეთი ინფორმაცია (მ.შ. განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემები) მიმწოდებლის შესახებ, რომელიც გამოყენებულ იქნება ამ ხელშეკრულების შესრულების კონტროლისა და პროგრამის ზედამხედველობის მიზნებისათვის.

14.3. ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.

14.4. მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.

14.5. ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ვერ ან არ შესრულების, მისი შესრულებისას დარღვევების და ა.შ., თუ წინასწარ არ მოხდა შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება.

14.6. კონფიდენციალობის დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება წარმოადგენს კანონის ან კანონის საფუძველზე ხელისუფლების რომელიმე ორგანოს მიერ გამოცემული აქტის მოთხოვნას.

14.7. „მიმწოდებელი“ თავისი კომპეტენციის ფარგლებში პასუხს აგებს არსებული კანონმდებლობის შესაბამისად დამოუკიდებლად მიღებულ გადაწყვეტილებებზე, კანონსაწინააღმდეგო ქმედების ან უმოქმედობის შემთხვევაში, რომელსაც მოჰყვა პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება.

14.8. ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის უქმე ან დასვენების დღეებზე დამთხვევის შემთხვევაში, შესაბამისი პირობა უნდა შესრულდეს არაუგვიანეს დადგენილი ვადის მომდევნო სამუშაო დღეს.

14.9. ხელშეკრულების რომელიმე ნორმის (მუხლი, პუნქტი) ბათილად ან გაუქმებულად გამოცხადება არ იწვევს მთლიანად ხელშეკრულების ბათილობას ან გაუქმებას. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების რომელიმე ნორმის (მუხლის, პუნქტის) ბათილობის/გაუქმების საფუძველია საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილება, რაც ამოქმედდა წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, მხარეები ვთანხმდებით, რომ ამ შემთხვევაში არ არის სავალდებულო ხელშეკრულებაში კორექტირების შეტანა შეთანხმებით, ხოლო ბათილად/გაუქმებულად გამოცხადებული ხელშეკრულების ნორმის (მუხლის, პუნქტის) ნაცვლად მხარეები იხელმძღვანელებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

14.10. წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით. წინამდებარე ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

14.11. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 5 (ხუთი) ფურცლად, 3 (სამი) ეგზემპლარად ქართულ ენაზე, რომელთაგან თითოეულს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ორი ეგზემპლარი „შემსყიდველთან“ და ერთი ეგზემპლარი - „მიმწოდებელთან“.

14.12. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერა ადასტურებს, რომ მხარეები ზედმიწევნით გაეცნენ ხელშეკრულების ყველა პირობას და სრულად ეთანხმებიან მათ.

15 . მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

სსიპ – „სოციალური მომსახურების სააგენტოს
სამეგრელო–ზემო სვანეთის სოციალური მომსახურების
სამხარეო ცენტრი
მისამართი: ზუგდიდი, ადმაშენებლის 106
საიდენტიფიკაციო კოდი N202178927

_____
რუსუდან მაქაცარია
ცენტრის უფროსის მოადგილე

„მიმწოდებელი“

მეწარმე ფიზიკური პირი – თეა ანთია
პირადობის მოწმობის N 13IE84816
პირადი N39001029813
საიდენტიფიკაციო კოდი 39001029813
მისამართი სენაკი. სოფ.ფოცხო
ბანკის დასახელება. ს/ს ლიბერთი ბანკის ცენტრალური ფილიალი
ბანკის კოდი LBRTGE22 (220101480
ანგარიშწორების ანგარიში: GE49LB0711165063842000

_____
თეა ანთია
ფიზიკური პირი ექთანი